

პაპა პარაგაშვილი

სასიღნაღო ღელის ნამგლის ჩასართების სახელოსნო

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვების დროს სოფ. არაშენ-დასთან (გურჯაანის რაიონი) შეკრიბა მცირე ზომის ანატაკეც-ლამელები. კოლექციამ რამდენიმე ასეულს მიაღწია.

ქუჩქი მდებარეობს სოფ. არაშენდის სამხრეთ-აღმოსავლეთის 1 კმ-ის დაშორებით, მდ. ლაკის მარჯვენა სანაპიროზე. ადგილი წარმოადგენს სწორ მინდორს (ადგილი ყოველწლიურად მუშავდება), რომლის აღმოსავლეთი ნაწილი მდინარესთან დამრეცად ეშვება და უერთდება მდ. ლაკის ხეობას. მთელი ფერდობი დაფარულია ჯაგნარით. მოსახლეობა ამ ფერდობს სასიღნაღე დელეს უწოდებს. (მდ. ლაკებზე წყალსაცავის მშენებლობის გამო, ძველი დღეს ნაწილობრივ დაზიანებულია)

სასიღნაღო ღელის თავში სათავეს იღებს საკმაოდ ღრმა და ამასთანავე მშრალი ხრამი. როგორც ჩანს ადრე აქ საცალფეხო ბილიკი ჩადიოდა მდინარემდე, რომელიც შემდეგ ნიაღვრებმა თანდისთან ჩარეცხა და ხრამად აქცია. ხრამის სათავეში გადარეცხვის შედეგად გაშიშვლდა კულტურული ფენა, ხოლო ზოგი მონაკვეთი მთლიანად დაცურდა ხრამისაკენ.

1971 წელს გაივლო ერთი საძიებო თხრილი (2X1). თხრილში უძრავი კულტურული ფენა არ დადასტურდა. (ძველი მიაკვლია და პირველი თხრილი გაავლო თ. ბუგიაინიშვილმა)

1976 წელს გაგავლეთ კიდევ სამი ასეთი სადამზვერვო თხრილი (2X1) დამხრობით დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. პირველი თხრილი გაიჭრა ხრამის სათავეში, სწორ ადგილზე, ძველი თხრილის მახლობლად. დანარჩენი ორი, მისგან აღმოსავლეთით, ხეობისაკენ კონცხისებურად გაწეული, სწორი ზედაპირის კიდევ, ერთმანეთისაგან 20-30მ-ის დაშორებით. თხრილის სიღრმემ მიწის ზედაპირიდან 0.70-0.80მ. მიაღწია. ჭრილში ფენები შემდეგნაირად განლაგდა: 1. კორდოვანი ჰუმუსი-0.30მ., 2. ლორღიანი მოყვითალო თიხამიწა-0.30მ., 3. მოყავისფრო თიხამიწა-0.10-0.20მ. თხრილში აღმოჩნდა კაყის ორ ასეულამდე ნივთი. კულტურული უძრავი ფენა, არც ამჯერად დადასტურდა.

სამაგიეროდ, დაგერასებულ კორდოვან ფენაში ზედაპირულად აიკრიფა კაყის სხვადასხვა ზომის ანატაკეცები, ნამგლის როგორც გატეხილი, ისე მთელი ჩასართები და ნახევარფაბრიკატები. აქ მოპოვებული ნივთების რაოდენობამ 1000 ერთეულს გადააჭარბა.

მიმდებარე გერიტორიის დაზვერვამ დაგვარწმუნა, რომ მსგავსი მასალა ვრცელდებოდა აგრეთვე ხრამის მარჯვენა მხარეს საკმაოდ დიდ ფართობზე, ამიტომ ხრამის სათავე მივიჩნიეთ ბუნებრივ საზღვრად და მისი მარცხენა I პუნქტად, ხოლო მარჯვენა მხარე II პუნქტად ავღნიშნეთ.

ორივე პუნქტზე მოპოვებული მასალის რაოდენობამ 4 ათასამდე ერთეულს მიაღწია. კოლექციაში ჭარბობს ანამტვრევები და ქერცლისებური ანატკეცები (91%), რომლებიც წარმოების ნარჩენს უნდა წარმოადგენდეს. ნახევარფაბრიკატები მთელი მასალის 1.79% (ტაბ.1, 1-15:11, I-II), ნამგლის ჩასართავები 0.76% (ტაბ., 1, 16-23: 11, 13-22), ხოლო 6.07% შეადგენს ნუკლეუსები, ლამელები და ლამელების-ნაირი ანატკეცები.

მოპოვებული მასალის მიხედვით ვფიქრობთ, რომ ძეგლი წარმოადგენს სახელოსნოს ან ხელოსანთა უბანს, სადაც მხოლოდ ნამგლის ჩასართავს ამზადებდნენ.

აღსანიშნავია, რომ კოლექციაში გვხვდება ისეთი ნივთები, რომლებსაც აშკარად ეცეობათ მეორადი გამოყენების კვალი. ეს არის აშელ-მუსტიერი ნუკლეუსები და ანატკეცები, რომლებიც შემდეგ გამოუყენებიათ ნამგლისპირების დასამზადებლად. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ნახევარფაბრიკატებზე. ბუნებრივია, რომ ხელოსანი შორს არ წავიდოდა კაჟისათვის, რადგან მას იქვე ჰქონდა საჭირო ნედლეული მთელს ამ გერიტორიაზე გაფანტული ადრეული პალეოლითის ხანის ნუკლეუსების, მასიური ანატკეცების და იარაღების სახით, რომლებიც სავსებით ვარგისია ხელმეორედ გამოყენებისათვის.

ანატკეც- ლამელები ძირითადად თხელია. აქვთ პატარა დარტყმის მოედანი და რელიეფური ბურცული. მას ქვედა სიბრტყის უმნიშვნელო ნაწილი უკავია. კაჟის ანატკეცები და ანამტვრევები ძირითადად პატარა ზომისაა (5-7სმ). ნუკლეუსები ალბათ მათგან მზადდებოდა და პირველადი მასალის სიდიდე აპირობებდა მათ ზომებს. მოპოვებული ნაშთები თითქმის არ არის პაგინირებული ისინი ხასიათდებიან ბასრი პირითა და წიბოებით.

ნამგლისპირები დამზადებულია შედარებით მასიურ, მოგრძო ანატკეცებისაგან. გაფორმებულია ორმხრივი, ფართო ფაცეგოვანი და თხელი, მცოცავი რეგუმიტით. ამგვარადაა დამუშავებული ორივე სიბრტყე. სამუშაო პირი გაფორმებულია მსხვილმარცვლოვანი რეგუმიტით და ხერხისებურადაა დაკბილული. კოლექციაში არის აგრეთვე ლამელებზე დამზადებული ნამგლის ჩასართავები, რომელთა უმეტესობა ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს ისინი პირველთან შედარებით უფრო ადრე გამოდიოდნენ მწყობრიდან.

სახელოსნოს ტერიტორიაზე მოპოვებული მასალის შემადგენლობა, ფიზიკური მდგომარეობა და იარაღის დამუშავების ტექნიკა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ იგი გვიანბრინჯაოს პერიოდით დავათარილოთ. ცნობილია, რომ ბრინჯაოს ხანის მთელ მანძილზე ქვა კიდევ ფართოდ გამოიყენებოდა. იგი საბოლოოდ რკინამ განდევნა.

საინტერესოა, რომ ძეგლზე ზედაპირულად მოპოვებული იქნა ობსიდიანის ყუნწიანი ისრისპირი (გბ., II-23) და თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (გბ., II-24). მსგავსი ისრისპირები ფართოდაა გავრცელებული თვით კახეთის სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე. ამიტომ მასზე გარკვევით რაიმეს თქმა ჭირს. ასევეა თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. მისი როგორც ზედაპირი, ისე შიდაპირი მოჩაღისფროა, ხასიათდება მკვრივი კეცით და კარგი გამოწვით. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ფრაგმენტი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს.

სასიღნაღო ღელის ნამგლის ჩასართების სახელოსნოს აღმოჩენა, პირველი შემთხვევაა იორ-ალაზნის აუზში. არ არის გამორიცხული სახელოსნოს უფრო ადრეულ პერიოდში ფუნქციონირებისა, ვიდრე ეს გვიანბრინჯაოა. ამდენად ძეგლი საინტერესოა შემდგომი კვლევისათვის.



